

დანართი №1
2015 წლის 24 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 (CMR 150126353) ხელშეკრულებაზე

თბილისი

07. 12. 2015წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს **საპროექტო – საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ტალი ტალიაშვილის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 03 დეკემბრის №8449-2 მოხსენებითი ბარათისა და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 136-ე კმ.-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, „საევაკუაციო ნაგებობების“ მოწყობის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 24 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადად 2015 წლის 30 ნოემბრის ნაცვლად განისაზღვროს 2015 წლის 31 დეკემბერი.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი



მიმწოდებელი
შპს საპროექტო – საკვლევადიებო
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“
დირექტორი
ტალი ტალიაშვილი



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the page.